

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2024 წლის 16 მაისი

ქ. ჭიათურა

„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/12/2023 სარეგისტრაციო კოდი-190020020.35.129.016420) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების I-III თავები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი I

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	40498.164	44478.059	11305.976	33172.083	45620.395	14137.995	31482.400
გადასახადები	19018.858	22313.600	0.00	22313.600	23603.600	0.00	23603.600
გრანტები	14947.756	13135.976	11305.976	1830.000	14137.995	14137.995	0.00
სხვა შემოსავლები	6531.550	9028.483	0.00	9028.483	7878.800	0.00	7878.800
II. ხარჯები	24695.944	29143.300	2222.120	26921.180	31164.101	3106.101	28058.000
შრომის ანაზღაურება	3393.065	3684.990	185.000	3499.990	3984.000	0.000	3984.000
საქონელი და მომსახურება	2426.008	2813.087	1331.120	1481.967	3213.101	1591.101	1622.000
პროცენტი	38.044	53.000	0.00	53.000	53.000	0.00	53.000
სუბსიდიები	15615.896	18457.874	171.000	18286.874	19990.000	260.000	19730.000



გრანტები	75.478	110.460	0.00	110.460	70.000	0.000	70.000
სოციალური უზრუნველყოფა	2006.524	2493.910	10.000	2483.910	2152.000	10.000	2142.000
სხვა ხარჯები	1140.929	1529.979	525.000	1004.979	1702.000	1245.000	457.000
III. საოპერაციო სალდო	15802.220	15334.759	9083.856	6250.903	14456.294	11031.894	3424.400
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	15925.202	16820.560	10646.657	6173.903	19241.096	12222.983	7018.113
ზრდა	16049.599	16920.160	10646.657	6273.503	19291.096	12222.983	7068.113
კლება	124.397	99.600	0.00	99.600	50.000	0.00	50.000
V. მთლიანი სალდო	-122.982	-1485.801	-1562.801	77.000	-4784.802	--1191.089	-3593.713
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-199.766	-1562.801	-1562.801	0.000	-4861.802	-1191.089	-3670.713
ზრდა	2840.354	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ვალუტა და დეპოზიტები	2840.354	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
კლება	3040.120	1562.801	1562.801	0.000	4861.802	1191.089	3670.713
ვალუტა და დეპოზიტები	3040.120	1562.801	1562.801	0.000	4861.802	1191.089	3670.713
VII. ვალდებულებების ცვლილება	-76.784	-77.000	0.00	-77.000	-77.000	0.000	-77.000
კლება	76.784	77.000	0.00	77.000	77.000	0.000	77.000
საშინაო	76.784	77.000	0.000	77.000	77.000	0.000	77.000
სესხები	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0.0	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	40622.561	44577.659	11305.976	33271.683	45670.395	14137.995	31532.400
შემოსავლები	40498.164	44478.059	11305.976	33172.083	45620.395	14137.995	31482.400
არაფინანსური აქტივების კლება	124.397	99.600	0.000	99.600	50.000	0.000	50.000
გადასახდელები	40822.327	46140.460	12868.777	33271.683	50532.197	15329.084	35203.113



ხარჯები	24695.944	29143.300	2222.120	26921.180	31164.101	3106.101	28058.000
არაფინანსური აქტივების ზრდა	16049.599	16920.160	10646.657	6273.503	19291.096	12222.983	7068.113
ვალდებულებების კლება	76.784	77.000	0.000	77.000	77.000	0.00	77.000
ნაშთის ცვლილება	-199.766	-1562.801	-1562.801	0.000	-4861.802	-1191.089	-3670.713

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 45620.395 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	40498.164	44478.059	11305.976	33172.083	45620.395	14137.995	31482.400
გადასახადები	19018.858	22313.600	0.000	22313.600	23603.600	0.000	23603.600
გრანტები	14947.756	13135.976	11305.976	1830.000	14137.995	14137.995	0.000
სხვა შემოსავლები	6531.550	9028.483	0.000	9028.483	7878.800	0.000	7878.800

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 23603.600 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	19018.858	22313.600	0.000	22313.600	23603.600	0.000	23603.600
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.00	0.00	0.000	0.000	0.000	0.000
დამატებითი ღირებულების გადასახადი	15119.024	18513.600	0.000	18513.600	20103.600	0.000	20103.600



ქონების გადასახადი	3899.834	3800.000	0	3800.000	3500.000	0.000	3500.000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2709.442	2960.000	0.000	2960.000	2360.000	0.000	2360.000
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.387	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	36.002	20.000	0.000	20.000	20.000	0.000	20.000
სასოფელო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	81.212	20.000	0.000	20.000	20.000	0.000	20.000
არასასოფელო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1072.791	800.000	0.000	800.000	1100.000	0.000	1100.000

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 14137.995 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
გრანტები	14947.756	13135.976	14137.995
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0.00	0.00	0.00
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	14947.756	13135.976	14137.995
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.00	0.00	0.00
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	255.000	390.000	1861.101
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5361.070	6418.293	12276.894
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	5361.070	6418.293	7314.694
სპეციალური ტრანსფერი	100.000	1525.000	412.200
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	836.920	0.00	3738.000
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1600.000	0.00	0.00
სოფელის მხარდაჭერის პროგრამა	812.000	825.742	812.000
მალაღმთიანი განვითარების ფონდი	400.000	290.221	0.00
საპილოტე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტები	2667.927	0.000	0.00



სახ.პროგრამის განახლებული რეგიონების ფარგ.განს.პროგრამები	1407.091	0.000	0.00
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდ.ღონისძიებების დასაფინანსებლად	1507.748	1307.120	0.00
სახელმწიფო გრანტი	0	2379.600	0.00
აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ	0.00	0.00	0.00

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 7878.800 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	6531.550	9028.483	7878.800
შემოსავლები საკუთრებიდან	3963.278	5657.904	5811.600
პროცენტი	139.673	157.904	311.600
რენტა	3823.605	5500.000	5500.000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	2124.22	2054.000	1817.200
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	2124.22	2054.000	1817.200
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.800	0.00	0.0
სანებართვო მოსაკრებელი	44.400	15.000	0.000
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	2024.000	2024.000	1800.000
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	17.204	15.000	17.200
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0,00	0.000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	174.153	258.320	200.000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	305.296	1058.259	50.000

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 31164.101 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	24695.944	29143.300	2222.120	26921.180	31164.101	3106.101	28058.000



შრომის ანაზღაურება	3393.065	3684.990	185.000	3499.990	3984.000	0.000	3984.000
საქონელი და მომსახურება	2426.008	2813.087	1331.120	1481.967	3213.101	1591.101	1622.000
პროცენტები	38.044	53.000	0.000	53.000	53.000	0.000	53.000
სუბსიდიები	15615.896	18457.874	171.000	18286.874	19990.000	260.000	19730.000
გრანტები	75.478	110.460	0.000	110.460	70.000	0.000	70.000
სოციალური უზრუნველყოფა	2006.524	2493.910	10.000	2483.910	2152.000	10.000	2142.000
სხვა ხარჯები	1140.929	1529.979	525.000	1004.979	1702.000	0.000	1702.000

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 19241.096 ათასი ლარით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 19291.096 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 50.000 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	97.309	360.141	148.744
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	97.309	360.141	148.744
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14042.563	12942.979	16279.736
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	10322.950	8550.687	11443.315
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1185.097	402.891	2592.935
02 03	გარე განათება	80.868	219.700	0.000
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	0.000	708.072	412.200
02 06	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	0.000	0.000	0.000
02 07	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2423.183	3060.853	1831.286
02 08	სასაფლაოების მოვლა შენახვა	30.465	0.776	0.000
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.000	0.000	0.000
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	361.210	562.360	143.541
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	159.134	450.860	0.000
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	55.500	0.000	0.000
03 04	სანიაღვრე არხის აღდგენა	146.576	111.500	143.541
04 00	განათლება	358.074	54.269	0.000
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	17.655	15.100	0.000



04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.000	39.169	0.000
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	340.419	0.000	0.000
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1157.643	2543.811	2276.875
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	566.105	1428.686	2201.875
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	591.538	1115.125	75.000
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	32.8	456.600	442.200
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0.000	0.000	0.000
06 02	სოციალური დაცვა	32.8	456.600	442.200
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	16049.599	16920.160	19291.096

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	97.880	96.000	50.000
მირითადი აქტივები	88.270	29.000	50.000
არაწარმოებული აქტივები	9.610	67.000	0.000
მიწა	9.610	67.000	0.000

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციო ნალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5122.721	5857.071	6041.744
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5001.464	5517.000	5671.744
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5001.464	5517.000	5671.744
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	160.071	200.000
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	114.828	130.000	130.000
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	6.429	50.000	40.000
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	13166.650	12058.759	14755.515



7.4 5	ტრანსპორტი	11923.729	11209.259	13186.933
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	11923.729	11209.259	13186.933
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.000	0.000	0.000
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1242.921	849.500	1568.582
7.5	გარემოს დაცვა	2437.883	3105.080	2643.541
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2235.807	2773.580	2500.000
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	202.076	331.500	143.541
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	5532.619	5847.491	7254.221
7.6 1	ბინათმშენებლობა	634.754	834.871	1360.000
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.000	0.000	0,000
7.6 3	წყალმომარაგება	1926.122	1172.891	3412.935
7.6 4	გარე განათება	518.095	778.100	650.000
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	2453.648	3061.629	1831.286
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	175.393	239.900	260.00
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	147.393	232.900	260.000
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	28.000	7.000	0.000
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	6112.333	8512.475	8406.875
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2627.913	3827.922	4751.875
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	3147.025	4560.595	3425.000
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	220.000	370.000	100.000
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების , კულტურისა და რელიგიის სფეროში	117.395	123.958	130.000
7.9	განათლება	6170.395	7498.317	8591.101
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	4654.078	6150.728	7000.000
7.9 2	ზოგადი განათლება	1175.898	1308.420	0,0
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო და ზოგადი განათლება	340.419	39.169	1591.101
7 10	სოციალური დაცვა	2104.333	3021.367	2579.200
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	1234.033	1127.260	1142.000
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	1052.303	937.260	952.000



71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	181.730	190.000	190.000
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	23.500	26.000	25.000
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	481.740	1349.495	525.000
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	207.560	336.975	767.200
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	157.500	181.637	120.000
	სულ	40822.327	46140.460	50532.197

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -4784.802 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 14456.294 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	15802.220	15334.759	14456.294
მთლიანი სალდო	-122.982	-1485.801	-4784.802

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -4861.802 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	-199.766	-1562.801	-4861.802
ზრდა	2840.354	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	2840.354	0.0	0.0
კლება	3040.120	1562.801	4861.802
ვალუტა და დეპოზიტი	3040.120	1562.801	4861.802

ფინანსური აქტივების კლება 4861.802 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 77.000 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. (დასუფთავების 3 ერთეული სპეც. ავტომანქანა და 100 ცალი ურნა) მუნიციპალიტეტის სასესიო დავალიანება 2024 წლის 1 მაისის მდგომარეობით შეადგენს 145.080 ათას ლარს.



ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13.ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურისმოწესრიგება (როგორცაა გზების, სკვერების მოვლა-პატრონობა და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფელის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარების.

კოდი	პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01			11443.315
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური	
	პროგრამის აღწერა	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება მოვლა პატრონობას, გზების მიმდინარე შეკეთებას და თანადაფინანსებას.</p> <p>მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 70% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.</p> <p>სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა:</p> <ul style="list-style-type: none"> - გზების მიმდინარე შეკეთება; - გზების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია; <p>გზების მშენებლობა-კაპიტალური შეკეთება ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია.</p> <p>საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -შენახვა ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა- მოშინდაკვებას.</p>	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის საბოლოო მიზანია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;</p> <p>პროგრამის საბოლოო შედეგი: მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა</p>	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზების მშენებლობა და კაპიტალური შეკეთება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 02			9168.566
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური	
		<p>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად</p>	



ქვეპროგრამის აღწერა

ხმარდება გზების პროექტირებასა და დაფინანსებული სამუშაოების შევსებას, მუნიციპალიტეტის მოასფალტებული გზების 70% აკმაყოფილებს საგზაო სტანდარტებს. ამიტომ 2024 წლისთვის იგეგმება ისეთი საგზაო სამუშაოები რომელიც დააკმაყოფილებს საგზაო სტანდარტებს. (ობიექტებს გაეწევათ საინჟინრო მონიტორინგი)

№	დასახელება	ცენტრალური	ადგილობრივი
1	სოფელ ვაჭევში გზის რეაბილიტაცია	0	176000
2	სოფელქვედა ბერეთისაში კვიჩინაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია	0	22587
3	სოფელ ქვედა ბერეთისის ზედა კვიჩინაძეების გზის რეაბილიტაცია	0	154987
4	რეგიონალური განვითარების ფონდებიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსება	0	297065
5	საინჟინრო მონიტორინგის თანხა	0	233026
6	სოფელ დარკვეთში-მოხოროთუბანი ახალი დასახლების გზის რეაბილიტაცია	0	120966
7	სოფელ ითხვისში სილების უბნის გზის რეაბილიტაცია	0	264953
8	სოფელნავარძეთში კაპანაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია	0	191228
9	სოფელზედუბანში ჭალისუბნის გზის რეაბილიტაცია	0	339258
10	სოფელ თაბაგრებში ორ მონაკვეთზე გზის რეაბილიტაცია	0	279999
11	სოფელრგანის და სოფელ ვაჭევის გზის რეაბილიტაცია(გველესიანების უბნიდან კვერნების უბნამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	0	49945
12	ჭიათურა-სარქველეთუბნის გზის რეაბილიტაცია	0	395
13	სოფელ ხრეთში სპარიეთის უბნის გზის რეაბილიტაცია	0	427910
14	ჭავჭავაძის ქუჩის გზისა და ტროტუარის რეაბილიტაციის სამუშაოები	155347	79822
15	გურაბანიძეებიდან სოფელ ვაკევისამდე გზის რეაბილიტაცია	626048	32950
16	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ზოდი-ზედუბნის დამაკავშირებელი გზის მოწყობა	31079	43630
17	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რცხილათში, სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზის აღდგენა	1846737	0
18	სოფელ ტყემლოვანაში, კაპანაძეების უბანში 1 კმ-იანი გზის მოწყობის სამუშაოები	211418	0
19	სოფელ მეჩხეთურში, ცენტრალური გზის (ეკლესიიდან სოფელლის ბოლომდე 2 კმ) მოწყობის სამუშაოები	200700	0
20	სოფელ ცხრუკვეთში ჭიპაშვილების უბანში 900 მეტრი გზის მოწყობა	219625	0
21	სოფელ თვალუეთში სკოლამე მისასვლელი გზის მოწყობა 400 მეტრზე	101669	0
22	სოფელ საკურწეში, ბედინაშვილების უბანში გზის მოწყობა	174140	0
23	სოფელ ზედა რგანში 450 მეტრი გზის მოწყობა	121887	0
24	სოფელ ითხვისში ლომიძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	100700	0
25	სოფელ ხრეთში მოდებამეები მიხელიძეების (კალოს უბნის) გზის მოწყობის სამუშაოები	100700	0
	სოფელ ხრეთში, მემორიალის მიმდებარედ , გამყრელიძეები, ბაქრაძეების კერესელიძეების		



26	გზის მოწყობა	100700	0
27	სოფელ რკვიანის საუბნო გზის მოწყობის სამუშაოები	100700	0
28	სოფელ რკვიანის ტაძრამდე მისასვლელი და კოპიტებამდე გაგრძელების გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	100700	0
29	სოფელ ჯოლხეთში სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობა	58305	0
30	სოფელ ღვითორში სკოლამდე მისასვლელი და ბაბრების უბნის გზის რეაბილიტაცია	164202	0
31	სოფელ კაცხში სასაფლაოს მიმდებარედ 500 მეტრი გზის მოწყობა	169447	0
32	კოროხნალის დაგასახვევიდან 25-ის მადაროს დასახლებაში სკვერის მიმდებარე ტერიტორიამდე გზის მოწყობა	200700	0
33	სოფელ დარკვეთში კაციტაძეების უბანში 800 მეტრი გზის მოწყობა	129185	0
34	სოფელ დარკვეთში სკოლასთან მისასვლელი გზის მოწყობა	167753	0
35	ჭიათურაში ნინოშვილის ქუჩაზე ტროტუერებისა და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია	1027913	0
36	სოფელ კაცხში მარკოზაშვილების უბანში გზის რეაბილიტაციისათვის	134125	0
37	სოფელ ტყემლოვანაში ჩინჩალძეების უბანში გზის რეაბილიტაციისათვის	147657	0
38	საპროექტო სამუშაოები	0	58408
	სოფელ ვანში გზის, სოფელ ხვამითში ბუხალაძეების უბანში დაახლოებით 1,5კმ გზის, სოფელ თაბაგრებში ღრეჭიების უბნიდან კოტრების უბნის მონაკვეთზე 250 გრძ.მ-ზე გზის და კედლის, სოფელ თაბაგრებში კენჭოშვილების უბანში გაგა კენჭოშვილის სახლამდე გზის მოწყობა 50გრძ.მ-ზე, სოფელ მღვიმეში საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 350გრძ.მ, სოფელ ტყემლოვანაში ხარტონაშვილების უბანში 250 გრძ.მ-ზე გზის, სოფელ ეწერში ხელოსნიშვილების უბნიდან სკოლამდე მისასვლელი 300გრძ.მ-ზე გზის, სოფელ ზედუბანში ჭალის უბანის 150 გრძ.მ-ზე გზის, სოფელ ზოდში ლია ჭილაძის სახლამდე 300 გრძ.მ-ზე გზის, სოფელ ითხვისში მოცრაძეების უბანში ორ მონაკვეთზე 150-150 გრძ.მ-ზე გზის და არხის მოწყობის, სოფელ ბუჩინეში დვალაშვილები-აბდუშელიშვილების უბანში 400 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ ითხვისში მეგრელიშვილების უბანში 70 გრძ.მ-ზე გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ მღვიმეში ნაბულების უბანში 300 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ ნავარძეთში ჭანკვეტაძეების უბნის გზის 150 გრძ.მ-ზე მოწყობის, სოფელ რკვიანში „სათბურების“, უბანში 800 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ წირქვალში ჭიტაძეების უბანში ეთერი ჭიტაძის სახლის მიმდებარედ 100 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, მეჩხეთურში ბურჯანაძეების სახლის მიმდებარედ 300 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ წირქვალში გურულების უბანში ქვედა მხრიდან შესასვლელი 200 გრძ.მ გზის მოწყობის, სოფელ ხალიფაურში ფირანიშვილების უბანში 400 გრძ.მ -ზე გზის მოწყობის, სოფელ ზოდში ეგნატე ჭილაძის სახლთან 150გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ ზოდში ინგა დულუნიშვილის სახლთან 300 გრძ.მ -ზე გზის მოწყობის, სოფელ უსახლოში ახალ სალოცავთან მისასვლელი 800 გრძ.მ -ზე გზის მოწყობის, სოფელ წირქვალში კაციტაძეების უბანში გურამი მოდეზაძის სახლთან გზის მოწყობის, სოფელ ჭილოვანში მუხების დასახლების 400 გრძ.მ -ზე გზის მოწყობის, სოფელ წასრში ბრეგვაძეების უბანში 150 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ ქვედა ბერეთისაში ქვედა კვიციანიძეები-გოგიტიშვილების უბანში გზის მოწყობის, სოფელ ვაჭევში გივიშვილების უბანი, ხერგულისკენ მიმავალი 800გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ ვაჭევში ზუბიაშვილების უბანი, ცენტრისკენ მიმავალი 850 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ ვაჭევში ბერიკიშვილების უბანი 150 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ ზოდში გიორგაძეების უბანში გზის მოწყობის, სოფელ ღვითორში, ქვრივიშვილების უბანი 200გრძ.მ-ზე გზის მოწყობის, სოფელ ცხრუკვეთში სარიტუალო დარბაზთან მისასვლელი გზის მოწყობის, სოფელ სვერში გვალაზაურის უბნის გზის მოწყობის, სოფელ ბერეთისაში სკოლიდან ცენტრამდე მისასვლელი 500 მეტრი გზის, სოფელ წალაშავში მოცეკვავეების უბანში გზის მოწყობის. ჭიათურაში, ვანძაძის ქუჩასთან დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მოწყობის-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშეკრულება გაფორმებულია).	0	0
	სულ ჯამი	6391437	2777129

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხიდებისა და მოაჯირების აღდგენა მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 04		706.167



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული ხიდები და მოაჯირები რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის უსაფრთხოდ გადაადგილება. ქვეპროგრამით განხორციელდება ჭიათურაში რკინიგზის სადგურის მიმდებარედ საფენხავლო ხიდის მოწყობა. ობიექტს გაეწევა საინჟინრო მონიტორინგი.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 05		1484.330
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე არსებული საყრდენი კედლების რეაბილიტაციას (ვინაიდან ქალაქი ჭიათურის ნაწილი წარმოადგენს ტრასულ დასახლებას) და მოწყობას ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურაში, ერისთავის ქუჩა №2 ში დაზიანებული საყრდენი კედლების დემონტაჟისა და ახლის მოწყობა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით, ჭიათურაში სალიეთის ცენტრალური გზის საყრდენი კედლის მოწყობა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით, ქალაქ ჭიათურაში აღმაშენებლის ქუჩაზე №127 საყრდენი კედლის მოწყობა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით, ქალაქ ჭიათურაში ერისთავის ქუჩაზე №31-თან საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით, ქალაქ ჭიათურაში ერისთავის ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით, სოფელ სვერში გვალაზურების უბანში დავით ცუცქერიძის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით, ქალაქ ჭიათურაში თბილისის ქუჩა №10-ში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით, ჭიათურაში წმინდა გიორგის ქ.№38-თან საყრდენი კედლის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით და ჭიათურის მუნიციპალიტეტში ზოდი წირქვალის დამაკავშირებელ გზაზე ნაპირსამაგრის მოწყობა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებით. ადგილობრივი ბიჯეტით განხორციელდება საპროექტო სამუშაოები: ლეჟუნის დასახლებაში საყრდენი კედლის მოწყობის, აღმაშენებლის ქ.№11 მარინა თეიმურაზოვას სახლთან, ჭავჭავაძის ქ.№1 ბინის უკან, ერისთავის ქ.№42 ნარგიზი გოგოლაძის სახლთან, მღვიმევის II შეს №12 სტანგერი გელაშვილის სახლთან, აღმაშენებლის ქ.№153 გურამი ციციძის სახლთან, საბჭოს II შეს №5 ფხალაძე რამაზის სახლთან, ზოდი გურაბანიძეების ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, მუხადის ქ.№10 და №12 -თან ფიფიასა და ბიწაძის სახლთან, წმინდა გიორგის ქ.№44 მუხრანი შუკაკიძის სახლთან, წმ.გიორგის ქ.№63 გიორგი დალაქიშვილის სახლთან, სოფელ ჭალოვანში ოთარი ხვედელიძის სახლთან, 9 აპრილის ქ.№75 გრიგორიანი ქრისტინას სახლთან, 9 აპრილის ქ.№84 შოთა კაპანაძის სახლთან, 9 აპრილის ქ.№54 ქეთევან ბუჭუხიშვილის სახლთან, ტოლსტოის I შეს №3 საყრდენი კედლის მოწყობის, ტოლსტოის ქ.№23-ში მანანა კუპრაძის სახლთან, მუხადის I შეს №2 იმედი მუმლაძის სახლთან, სოფელ ზოდიში (ქვედა ზოდი), კერძოდ ხვედელიძეების უბანში, ცენტრალური საავტომობილო გზაზე მეწყერისგან ჩამოშლილ ადგილზე, სოფელ ითხვისში კობერიძეები, დვალაშვილები მახათაძეების დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ მეწყერის შედეგად დაზიანებული გზის გასწვრივ საყრდენი კედლის მოწყობის, ცენტრალურ ავტოსადგურთან საყრდენი კედლის მოწყობის, გოგებაშვილის ქ.№1 რაული ჩიხელიძის სახლთან, სოფელ მანდაეთში პროკოფი ციციძის სახლთან სახლთან, ერისთავის III შეს №9 ბრეგვაძე კახაბერის სახლთან, სოფელ სალიეთში მოდებაძე გიორგის სახლთან, გაგარინის ქ.№33 ჯაჯანიძე ტარიელის სახლთან, აღმაშენებლის ქ.№141 ბონდო ბიწაძის სახლთან, ქვ.ბერეთისაში „ცივ წყაროსთან“ საყრდენი კედლის მოწყობის, მღვიმევის ქ.№23-ში ზურაბ ვაშაძის სახლთან მონასტრის მიმდებარედ უკან ეზოში, სოფელ ვანში თენგიზი სუთიძის სახლთან, გაგარინის ქ. №176-ში თენგიზი ჩაჩანიძის სახლთან, აღმაშენებლის ქ.№176-ში მიმდებარედ ჯალაბაძე ნატალიას სახლთან, ქალაქ ჭიათურაში წმინდა გერმანეს ქ.№15-ში სახლთან, ქალაქ ჭიათურაში ბათუმის ქ.№21-ში დიანა ლულუნიშვილის სახლთან, ქალაქ ჭიათურაში ბათუმის ქ.№30-ში მზია ზაბახიძის სახლთან კედლის მოწყობის საპროექტო - სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სტიქიის შედეგად დაზიანებული პიონერთა პარკის და სოფელ მერევი დაზიანებული საყრდენი კედლების გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად (ხელშეკრულება გაფორმებულია). (ობიექტებს გაეწევა საინჟინრო მონიტორინგი).</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების მოედნების მოწყობა.	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 06		84.252
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების, კიბეებისა და მოედნების კაპიტალურ შეკეთებას, პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები ქვეპროგრამით განხორციელდება: ნაგუთის შუალედურ სადგურზე ტერიტორიის მოწყობისა და შემოღობვის სამუშაოები, მადაროელთა მოედნის, ტოლსტოის ქუჩაზე სვერიდან		



აღწერა და მიზანი	სტადიონამდე ასასვლელი კიბეებისა და მოაჯირის მოწყობის, საჩხერის გზატკეცილი № 5, 7,9 მიმდებარედ შიდა ეზოების მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 5000 ლარი (ხელშეკრულება გაფორმებულია). ობიექტს გაეწევა საინჟინრო მონიტორინგი.
------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 03		3412.935
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	<p>წყალმომარაგების უზრუნველყოფა როგორც ქვეყნის ასევე მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.ჭიათურის მუნიციპალიტეტში ქალაქის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაციას და მოსახლეობის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად 2020 წელს შეიქმნა შპს ჭიათურის წყალი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ქსელების მოწყობას და არსებული ქსელების მოვლა-პატრონობას.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია წლის ნებისმიერ პერიოდში მოსახლეობის წყალმომარაგება. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ol style="list-style-type: none"> წყლის სისტემის ექსპლოატაცია, რომელსაც ახორციელებს შპს ჭიათურის წყალმომარაგების კომპანია (რომლის მიზანია სოფელად დაზიანებული წყლის ქსელების დროული შეკეთება-ექსპლუატაცია, წყლის მიწოდების რეგულაცია უბნების მიხედვით, რათა ყველა მოსახლემ ისარგებლოს წყალმომარაგებით. წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია <p>პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივ მოქმედ პროგრამას.</p>		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების გაუმჯობესებული სისტემები (რომელიც იმყოფება მუნიციპალურ დაქვემდებარებაში), რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის წყალმომარაგებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 02 01		820.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს „ჭიათურის წყალი“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის შპს ჭიათურის წყალმომარაგების კომპანიის სუბსიდირებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სოფელოების წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუნზო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობას რათა შეუფერხებლად მოხდეს მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების გაუმჯობესებული სისტემები (რომელიც იმყოფება მუნიციპალურ დაქვემდებარებაში), რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის წყალმომარაგებას.		

	კოდი		2024 წლის დაფინანსება
--	------	--	-----------------------



ქვეპროგრამის დასახელება		წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია	(ათას ლარში)
	02 02 02		2592.935
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წინსოფელში სკინდორში და ჭილოვანში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებს, სოფელ მორმგვეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის № 2402 განკარგულებით სოფელ მანდაეთის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის № 2402 განკარგულებით ობიექტებს გაეწევა ზედამხედველობა. საეკვე განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტით საპროექტო სამუშაოები: სოფელ გეზრულში „პატიკების წყაროს“ რეაბილიტაციის, სოფელ სვერში დვალაძეების უბანში არსებული წყაროს რეაბილიტაციის, სოფელ თვალუეთში ბოგირთან მდებარე წყაროსა და წყაროს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, სოფელ თვალუეთში „კოდიწყლის უბანში“ წყაროების(2ლოკაციაზე) მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 3500 ლარი (ხელშეკრულება გაფორმებულია).		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 03		650.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისთვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ ჭიათურაში, ჯარბელის დასახლებიდან სოფელ ბერეთისის მიმართულებით არსებულ მონაკვეთზე, სოფელ წასრის, სოფელ პერევისის და სოფელ ხრეთის გარკვეულ უბნებში. ქალაქ ჭიათურასა და ქალაქ საჩხერეს შორის არსებულ საავტომობილო გზის მონაკვეთზე. გარე განათების ქსელით მოცულია ქალაქის მთელი ტერიტორია და მუნიციპალიტეტის სოფელების დასახლებული ტერიტორიის 5%.</p> <p>1. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია</p> <p>2. გარე განათების ქსელის ახალი წერტილების მოწყობა და რეაბილიტაცია.</p> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი -გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		650.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელით დაფარულია 99%.ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახალი ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. <p>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას</p>		



პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		3312.200
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს საბაგირო გზის ექსპლოატაციის ხარჯებს რაც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და იმ სოფელებსა და დასახლებული უბნების საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფას სადაც მგზავრთა გადაყვანა ახორციელებდა საბაგირო ტრანსპორტი (არნიშნული ტრანსპორტის ფუნქციონირება შეჩერებულია მათი ამორტიზაციის გამო).აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ხორციელდება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს შპს „ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია“. 2. მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება. <p>მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის მომსახურების.ხანგრძლივობის მიხედვით - მრავალწლიანი.</p> <p>მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება თავისი შინაარსით წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		2900.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირების პროგრამა ითვალისწინებს საბაგირო გზის ექსპლოატაციის ხარჯებს რაც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და იმ სოფელებსა და დასახლებული უბნების საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფას სადაც მგზავრთა გადაყვანა ახორციელებდა საბაგირო ტრანსპორტი (აღნიშნული ტრანსპორტის ფუნქციონირება შეჩერებულია მათი ამორტიზაციის გამო). ასევე ახორციელდება ქალაქ ჭიათურაში და მასში შემავალი სოფელებში მისასვლელი ცენტრალურ გზებზე დაზიანებული ორმოლების შეკეთებას.</p> <p>მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის მომსახურების.ხანგრძლივობის მიხედვით - მრავალწლიანი.</p> <p>პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და საკუთარი შპს-ს შემოსავლები, რომელსაც იღებს მგზავრთა მომსახურებიდან.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04 02		412.200
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შეძენილი იქნება ოთხი ერთეული სამგზავრო ავტობუსი, რომლებიც მოემსახურება მგზავრების გადაყვანას სხვადასხვა მიმართულებით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მგზავრთა კომფორტული გადაადგილება.მიმდინარე წლის გადახდილი თანხა.		



პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06		1360.000
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება.		
	<p>ვინაიდან ქალაქში მრავლადაა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და ისეთი გლობალური პრობლემა როგორცაა მათი სახურავის, ფასადისა და კორპუსებში არსებული ლიფტების აღდგენა ამ კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობასთვის შეუძლებელია, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ეხმარება მათ ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მრავალსართულიანი საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამა მუნიციპალური ამხანაგობების ხელშეწყობას და უზრუნველყოფს ისეთი პროგრამების განვითარებას როგორცაა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მრავალსართულიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია 2. საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციას, სახურავი მასალის შექმნას. 3. საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღდგენა. <p>მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მრავალსართულიანი საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებთა კომფორტული გადაადგილებისათვის საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენას. მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების შენარჩუნებისათვის უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლებისათვის რბილი გადახურვისა და ლითონის სახურავის შექმნასა და გადაცემას ამხანაგობებისათვის. აგრეთვე უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლების საქსპლოატაციო ვადის გახანგრძლივებისა და იერსახის შენარჩუნებისათვის ფასადების რეაბილიტაციის (შედგენა- შეკეთების) სამუშაოებს.</p> <p>პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია სახურავის მასალის სემენა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		1345.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების შენარჩუნება. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლებისათვის რბილი გადახურვისა და ლითონის სახურავის შექმნასა და გადაცემას ამხანაგობებისათვის. ასევე განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებით (უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისა და სახურავის მასალის შექმნა).		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		15.000
ქვეპროგრამის	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის		



განმახორციელებელი	სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების იერსახის შენარჩუნება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე №1 და №3 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებს რეაბილიტაცია-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშეკრულება გაფორმებულია).

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		1831.286
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს გამწვანებული და ეკოლოგიურად სფუთა გარემო. ვინაიდან ჭიათურა არის მარგანეცის მომპოვებელი რომლის ტრანსპორტირება ხდება მარალი გამავლობის ავტომობილებით აქედან გამომდინარე ხშირია დამტვერიანება, ასეთი გლობალური პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებლობას წარმოადგენს მწვანე ნარგავების განაშენიანება.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების განაშენიანება სკვერების მოვლა-პატრონობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01		323.337
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს გამწვანებული და ეკოლოგიურად სფუთა გარემო. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება ქ.ჭიათურაში, წმინდა გერმანეს ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 მარტის №584 განკარგულებით (ხელშეკრულება გაფორმებულია). ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდება: სივულდას და ჭილაძის სკვერის საპროექტო სამუშაოები, მღვიმევის მონასტრის წინ სკვერისა და ტერიტორიის მოწყობის საპროექტო სამუშაოები, საჩხერის გზატკეცილზე მეორე ატეკის მოპირდაპირე მხარეს სკვერის მოწყობის საპროექტო სამუშაოები, სოფელ თვალუეთში სტადიონზე სკვერის მოწყობისა და სტადიონის შემოღობვის საპროექტო სამუშაოები. ობიექტს გაეწევა ზედამხედველობა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფელის მხარდაჭერის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02		1507.949
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში თანადაფინანსება გაეწევა მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელში კრებების შედეგად არჩეული და საკრებულოს მიერ დამტკიცებულ პროექტებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2401 განკარგულებით. ასევე გასული წლის ნაშთიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება: სოფელ ხვამითში სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა, სოფელ ჯოლხეთში ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერისა და გმირთა მემორიალის მოწყობა, სოფელ ჭილოვანში ამბულატორიის შენობის კეთილმოწყობა, სოფელ მერევიში ბირთვულიშვილების უბანში მინი სტადიონის მოწყობა, სოფელ გუნდაეთში ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები.</p>		

მუხლი 14.



დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2024 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლაპატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა დასხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში პოლიტიკას წარმართავს ინფრასტრუქტურის სამსახური, ხოლო ასრულების კუთხით ჩართულია ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი“

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და გარემოს დაცვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 00		2643.541
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. აიპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით. დასუფთავების მომსახურება მოიცავს მთლიანად ქალაქ ჭიათურას და მის შემოგარენს. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელიდან ხორციელდება ნაგვის გატანა დასუფთავების სპეცმანქანებით.განხორციელდება სანაგვე ურნების შექმნა და საჭიროებისამებრ განთავსება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანას	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		2500.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. აიპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით. დასუფთავების მომსახურება მოიცავს მთლიანად ქალაქ ჭიათურას და მის შემოგარენს. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელიდან ხორციელდება ნაგვის გატანა დასუფთავების სპეცმანქანებით, ასევე განხორციელდება ნაგუთის დასახლებაში ცენტრალური სასაფლაოს კეთილმოწყობის სამუშაოები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების აღდგენა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 04		143.541
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული სანიაღვრე არხები, რათა უზვი ნალექიანობისას არ მოხდეს სავალი ნაწილების დატბორვა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით. სოფელ ითხვისში მოცრამეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა (ხელშეკრულება გაფორმებულია), ქალაქ ჭიათურაში თავისუფლების ქუჩა №1-ის შესახვევში სანიაღვრე არხის აღდგენის სამუშაოები, ქალაქ ჭიათურაში 9		



აპრილის ქ№65 -თან კოსტანტინე გაფრინდაშვილის სახლთან სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები. ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდება სოფელ უსახელოში პაპიძეებისა და ლამეს უბანში სანიაღვრე არხების საპროექტო სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია).

მუხლი 15.

განათლება 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		7000.0

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი
-----------------------------	---

